ფეხბურთი და რიტმული პერფორმანსი

მოამზადა რუსუდან თაყაიშვილმა

მასწავლებელი მოსწავლეებს ესაუბრება ფეხბურთელთა მხარდაჭერის ფორმებზე, იხსენებენ ტაშის პერფორმანსს, როდესაც მოგების ჟინით გაერთიანებული მაყურებელი ერთდროულად პასუხობს რიტმულ დარტყმებს, უჩვენებს ამ წარმოდგენის რამდენიმე ვარიანტს და სთხოვს მოსწავლეებს, ვიდეოს პარალელურად ჩაერთონ პროცესში.

Relive Iceland's Viking Thunderclap during the Fifa World Cup 2018

საქართველო-ესპანეთის მატჩის შემდეგ ქართველი გულშემატკივრების შესრულებული წარმოდგენა 2024

მოსწავლეები გამოთქვამენ ვარაუდს, როგორ ეხმარება მოთამაშეებს გამოხატვის ეს ფორმა.

მოსწავლეებმა უნდა ჩაწერონ[1], სიმღერა "Skol" ის რიტმული სურათი. მასწავლებელი დროდადრო ეხმარება მათ ვიდეომასალის ჩართვით. მასწავლებელს, მისი სურვილის მიხედვით, შეუძლია ყველა ნაწერი განიხილოს და შეაფასოს ნამუშევრები.

დადგინდება და დაფაზე დაიწერება საბოლოო ვერსია ისე, რომ მის მიხედვით ყველამ შეძლოს რიტმის გახსენება, გავარჯიშება სახლში და მომდევნო გაკვეთილზე ერთობლივი შესრულება.

შემდეგ გაკვეთილზე მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, საიდან მოდის ეს ტრადიცია. სავარაუდოდ, ზოგიერთი მოსწავლე დაინტერესდა და გაეცნო მისი წარმოშობის ისტორიას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მასწავლებელი უამბობს მათ ტაშის პერფორმანსის ტრადიციაზე.

შემდეგ კი ორად გაყოფილი კლასი ასრულებს (1 ან მეტი vs დანარჩენები)

საუბრობენ, როგორი გაერთიანება შეუძლია რიტმს, რამდენად დიდი ძალაა ადამიანთა ერთობის სამართავად.

დამატებითი რესურსი მასწავლებლისათვის:

https://the18.com/soccer-entertainment/origin-iceland-viking-clap#:~:text=Where%20exactly%20did%20this%20chilling%20thunderclap%20come%20from%3F,word%20has%20been%20a%20way%20of%20saying%20"Cheers%21"

[1] შესაძლოა, ჩაწერონ ტრადიციული ან ალტერნატიული სისტემით.